



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 50
25/05/2018

50-04-4-201805251739



**ქედის მუნიციპალიტეტის
ადმინისტრაციულ შენობება-ნაგებობებში თამბაქოს მოწევის
აკრძალვის/შეზღუდვის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტისა და „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობება-ნაგებობებში თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის მარეგულირებელი წესი, თანახმად დანართი №1-სა.
2. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარეების მიერ მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358;).
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

**ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობებში
თამბაქოს მოწვევის აკრძალვის/შეზღუდვის მარეგულირებელი წესი**

წინამდებარე წესი შემუშავებულია „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, რომლის შესაბამისად ყველა დაწესებულება (იურიდიული პირი, სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, პირთა გაერთიანება იურიდიული პირის შეუქმნელად, მეწარმე სუბიექტი, საჯარო დაწესებულება, მათ შორის, სახელმწიფო ორგანო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო) ვალდებულია შეიმუშაოს და დაამტკიცოს იმ შენობა-ნაგებობაში ან/და ტერიტორიაზე, სადაც ის საქმიანობას ეწევა, თამბაქოს მოწვევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესები.

მუხლი 1.

წესის მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობებში თამბაქოს მოწვევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესების დადგენა და მისი დარღვევისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრა.

მუხლი 2.

1. ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობებში აკრძალულია თამბაქოს მოწვევა.

2. ქედის მუნიციპალიტეტში (ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში) დასაქმებული საჯარო მოსამსახურეები და სხვა პირები ვალდებული არიან:

ა) დაემორჩილონ ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობებში თამბაქოს მოწვევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებით დადგენილ წესებს;

ბ) ნებისმიერი პირის მიერ აკრძალულ ადგილას თამბაქოს მოხმარების წესების დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში ინფორმაცია მიაწოდოს კონტროლის განმახორციელებელ პირს.

3. თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულებაზე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობებში კონტროლს ახორციელებს დაწესებულების ხელმძღვანელის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირი.

4. კონტროლის განმახორციელებელი პირი ვალდებულია:

ა) თამბაქოს მოხმარების წესების დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მიიღოს ყველა ზომა მოწვევის ფაქტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით და დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს შსს ქედის რაიონულ განყოფილებას;

ბ) უზრუნველყოს ყველა შესასვლელში და სხვა თვალსაჩინო ადგილას ამ წესისა და თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული შესაბამისი წარწერის/ნიშნის, აგრეთვე იმ ფიზიკური პირის/დაწესებულების საკონტაქტო ტელეფონის ნომრის და სხვა ინფორმაციის განთავსება, რომელთან დაკავშირებაც იქნება შესაძლებელი თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესების დარღვევის შემთხვევაში.

5. თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესების დარღვევის ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია ნომრებზე: 112.

მუხლი 3.

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და წინამდებარე წესის დარღვევისთვის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.